

გამოცემა კ. თავართქილაბისა № 15

Ado

# ზენგის

## სამარტილო

(ისპანიური ლეგენდა)

ვ. იოვინგისა

თარგმანი

ლ. ჭულაძესა  
— — — — —

ოზურგეთი  
1892 წ.

---

Дозволено Цензурою Тифл. 20 июня 1892 года.

---

5

---

Типографія Микелайшвили и Тавартиладзе Озургеты

---

## ზანგის სამკვიდრო

(ისპანიური ლეგენდა ვ. ორვინგისა)

პლ ჰამბრის სიმაგრეში, სამეფო სასახლის პირდაპირ ერთი გაშლილი და ტრიალი ადგილია, რომელსაც ცისტერნის მოედანს ეძახიან. ამ მოედნის ქვეშ არაბთა დროიდამ წყლის მილებია გაყვან-გამოყვანილი, ხოლო ერთგან, სალს კლდეში ამოკვეთილია ჭა. წყალი ამ ჭისა ყინულსავით ცივია და მინასავით კამკამი. საზოგადოდ არაბთა მიერ გაკეთებული ჭები დიდს ქებადიდებასა და მოწონებაშია აქ, რადგანაც ყველამ იცის, რომ აბის გამკეთებელთ დიდი შრომა და ჯაფა გაუწევიათ, დიდი ოფლის ღვრა და ჭაპანწყვეტა მოსელიათ სიპის კლდის ამოკვეთისა, და წყაროთა ამოჩენისათვის. ერთი ამ წყაროთაგანი, რომლის გამო საუბარი უნდა გაგიმართოთ, მთელს გრენადაში განთქმულია. დღე-ყოველ ნახავთ აქ წყლის მზიდავთ. ზოგი

ზურგით ეზიდება წყალს და ზოგი კიდევ  
— ვირებით.

თბილს ქეეყნებში შაღრევანი და წყარო  
ძველის-ძველ დროიდამ ხალხის თაფ-მოსაყ-  
რელ ადგილად ითვლებოდა, სადაც, რა-  
საკირველია, იმიტომ გროვდებოდნენ,  
რომ სხვა-და-სხვა გვარ ჭორის შეთხზვასა  
და გავრცელებაში გაეტარებიათ დრო. იმ  
წყაროსთან, რომელიც ზემოდ ვახსენეთ,  
ათას გვარი უსაქმო და მაწანწალა ხალხი იყ-  
რიდა თავს და გაჰქონდათ და გამოჰქონდათ.

არც ერთს წყალის მზიდავს ისე არ გაა-  
ტარებდნენ, რომ ქალაქის ამზები დაწვრი-  
ლებით არ გამოეყითხათ. შემდეგ ამ ამბავს  
გაზრდიდნენ, გააზვიადებდნენ, ფეხებს გა-  
მოამბამდნენ, ფრთებს შეასხამდნენ და, ამ  
ნაირად, ვინ იცის, რა გვარს ჭორს არ  
დაჰპადებდნენ. დღე ერთი იყო, ხოლო ამ  
წყაროსთან შეკრებილ ლაზლანდარა ხალხის  
მიერ შეთხზული ჭორი ათასი.

წყალის მზიდავთა შორის, რომლებიც  
ამ წყაროს დღეში რამდენჯერმე ესტუმრე-

და მამას შემოეხვევოდნენ, მაგრამ ახლა უცნობის კაცის დანახვისთანავე დაფრთხნენ, ისევ სახლში გაეშურნენ და დედის კალთას ამოეფარნენ. პერეგილის ცოლი ამ ამბავზე კარში გამოვიდა და, რაკი გაიგო ბალლების შეშინების მიზეზი, თავისებურად ყვირილი მორთო.

— ეს რა ამბავია? ამას რას ვხედავ? უწმუნო, წარმართი სახლში მოეიყვანია? რაღა გვეშველება, რაღა გვეწამლება, რომ ეჭვი აიღონ? ვინღა გადაურჩება ცოცხალი ინკვიზიციას?

— დაჩუმდი! — ემუდარებოდა პერეგილი: ეს უცხო კაცი ავადმყოფია, უთვის-ტომო, უსახლ-კარო, და რა მადლი იქნება, რომ ქუჩაში მოკვდეს?

ცოლი მაინც არა ცხრებოდა, პირიდგან სულ ცეცხლსა ჰყურიდა და თუმცა იმათი სადგური მღეიმეს უფრო მიაგავდა, ვინემ სახლს, მაინც ამბობდა: „არ მინდა დიდებულს სახლს სახლი გავუტეხო და ჩირქი მოვაცხოვო“. მაგრამ ამ უამაღ ცოლის

გაკაპასებამ პერეგილი სრულიადც არ შეაშინა. მან გადასწყვიტა, რაც უნდა დამემართოს, ჩემი უნდა გავიტანოო. უბედური მაჰმადიანი ჩამოსვა ძირს, დაუგო ჭილობი და დააწვინა. ამაზე უკეთესი ლოგინი არ მოეპოვებოდა, თორემ არ დაიშურებდა.

რამდენისამე ხნის შემდევ აეადმყოფი ცუდად გახდა, კანკალი აუცარდა და სულის თქმას მოუხშირა. პერეგილმა ყოველივე ლონე ილონა, რომ აცადაყოფისათვის რაიმე ეშველა, მაგრამ ამაოდ. ზანგმა მაღლობის გამომეტყველის თვალებით ანიშნა, ჩემთან მოდიოდ და წყნარად უთხრა:

— ეგრძნობ, რომ ჩემი აღსასრული მოახლოედა. ეჭვი აღარ არას, რომ ვკვდები... სიკეთის სამაგიეროდ სიკეთე უნდა გიყო და აიმიანდერძებია შენთვის ეს ყუთი.

ამ სიტყვებზე გაიხსნა ლილი და აჩვენა ხის პატარა ყუთი, რომელიც სარტყელზედ ეკიდა.

— ღმერთმა შენ გაცოცხლოს და შენი ქონებაც შენვე მოგახმაროსო, უპასუხა

ჰატიონსანმა მასპინძელმა. ზანგმა თავი გა-  
იქნია, ყუთს ხელი მოაელო და უნდოდა  
რაღაც აეხსნა და განემარტნა პერეგილისა-  
თვის, მაგრამ იმისმა უკანასკნელმა წაშმა  
დაჭრა და უბედურმა სული განუტევა.

უპატრონო ზანგის სიკედილმა, როკორც  
მოსალოდნენლი იყო; პერეგილის ცოლი  
მოთმინებიდამ გამოიყვანა.

— ახია ჩვენზედ, რაც დაგვემართება. აი  
რა სიკეთე დაგმართა შენმა სულელურმა  
კაც-მოყვარეობამ! რა უნდა მოგველოდეს  
თუ ამ მკვდრის კაცის გვამი სახლში გვი-  
ნახეს! ჩაგვსვამენ საპყრობილეში და კაცის  
მკვლელსავით გაგვასამართლებენ და თუნ-  
დაც გავმართლდეთ, მოსამართლეთა ხელ-  
ში ჩაეარღნილთ რაღა ხეირი დაგვეყრება  
რაც გვაბადია, ყველაფერს წაიღებენ და  
ჩვენ ცარიელ-ტარიელი დაერჩებით.

კეთილი პერეგილიც არა ნაკლებ იყო  
აღშფოთებული და შეწუხებული ამ ამბით.  
და თითქმის კიდევ ნანობდა, რად ჩაეი-  
დინე ეს კეთილი საქმე, რომელსაც სხვები

სისულელესა და აფ-კაცობას უწოდებენო. ბევრის ფიქრისა და ჭოყმანის შემდეგ გადასწუვიტა:

—ჯერ გათენებამდის კიდევ ღრო და-რჩენილა, მაშასაღამე, შემძლიან, რომ უბედურის ზანგის გვამი ქალაქს გარედ გაეიტანო, იქ მდინარის ნაპირას სილაში სამარე გავუთხარო და მიწას მივაბარო.

ასეც მოიქცა. ცოლის დახმარებით მი-ცვალებულის ვევემი გაახეია იმ ჭილობში, რომელზედაც მოკვდა, აჰეთ ვირს და გაუდგა გზას.

საუბედუროდ პერეგილის პირდაპირ ერთი მისი მეზობელი დალაქი პედრილი სცხოვრობდა. პედრილი მეტის - მეტად გაქნილი და გაიძვერა, მეტის-მეტად ბოროტი, მეტის-მეტად ჭორიკანა და ენა ჭარტალა კაცი იყო. ასე გევონებოდათ, რომ ყოველივე ბიწიერება და ნაკლი დალაქისა მარტო ამ ერთს კაცს დაუსაკუთრებიან. პედრილის სახის გამომეტყველება მელიას მოგავონებდათ, სიარული ბაჯბაჯით იცოდა

და მიხერა-მოხერა ძალიან საზოგადო ჰქონდება. განთქმული სევილიერი დალაქი მას ვერაფერში ვერ შეედრებოდა და განსაკუთრებით მეზობელთა ავ-კარგიანობისა და ყოფა-მდგომარეობის ცოდნაში. ხოლო რაც მან იცოდა, ის აღარავისთვის დაფარული და საიდუმლო აღარ იყო. წყალი უფრო აღვილად გაჩერდებოდა საცერში, ვიდრე ნამუსი პედრილის გულში. იმის შესახებ ქალაქში ხმა დადიოდა, რომ მხოლოდ ცალის თვალითა და ცალის ყურით სძინავს და, ამ ნაირად, იმის თვალსა და ყურს ძილშიაც არაფერი გამოეპარებაო. ეს რამდენად მართალი იყო ვინ იცის, ხოლო ის-კი ცხადია, რომ ყოველ-გვარის ჭორის და დაუჯერებელი ამბების შემთხვეველი მთელ გრენადში პედრილი იყო, რის გამოც იმდენი მუშტარი ჰყავდა, რამ დენიც ყველა სხვა დალაქს არ ჰყოლია. ამ ახირებულმა ცნობის მოყვარე დალაქში შენიშნა, რომ პერევილი უდროო-დროს

დაბრუნდა სახლში, აგრეთვე გაიგონა პე-  
რეგილის ცოლის ანჩხლი ლაპარაკი და  
ყოველივე ეს საქმაო იყო, რომ ეთვალ-  
თვალებინა და გაევო, რა ხდებოდა იმისი  
მეზობლისას. სხვათა-შორის, ისიც დაინახა,  
თუ როგორ შეიყვანა პერეგილმა თავის  
სახლში ეიღაც ზანგის ტანისამოსით მორ-  
თული კაცი. ამ ამბავმა ჭორის მოყვარე  
დალაქი დიდად გააკვირვა და დააფიქრა,  
ასე რომ მთელი ღამე არ დასძინებია.  
მაღ-მალე მიღიოდა ფანჯარასთან და იქი-  
დამ მზვერავის თვალით უკვირდებოდა  
ყველაფერს, რასაც პერეგილი და იმისი ცო-  
ლი აკეთებდნენ. გათენებისას ისიც დაინახა,  
რომ პერეგილმა რაღაც არა ჩვეულებრივად  
დატვირთა ეირი და სადღაც გაემგზავრა.  
ჭორიკანა დალაქს ცნობის მოყვარეობა  
ციებად გადაექცა. საჩქაროდ ჩაიცვა ტანი-  
სამოსი, გამოუდგა პერეგილს და შენიშნა,  
რომ უკანასკნელმა ქვიშაში რაღაც ადამი-  
ანის გვამის მსგავსი დაპმარხა.

ამას შემდეგ დალაქი გამოეშურა შინი-

საკუნ და მზის ამოსელამდის იმის ფიქრსა  
და გამორკვევაში იყო, თუ რა უნდა ყო-  
ფილიყო ის, რაც პერეგილმა დამარხა.  
მოსეენება დაეკარგა: ვერც წვებოდა, ვერც  
დგებოდა, ვეღარც ჯდებოდა. ამ მდგომა-  
რეობაში იყო, სანამ მზე ამოვიდოდა. მა-  
შინ-კი აიღო ტაშტი და სხვა საღალაქო  
წყობილება და მსაჯულისკენ გასწია, რო-  
მელსაც ყოველდღე წვერსა ჰპარსავდა, ანუ,  
უკედ რომ ვსთქვათ, ჰფრეკავდა.

მსაჯული ახალ გაღვიძებული იყო. პედ-  
რილმაც დაუცადა მის ადგომას და როცა  
ადგა, დასვა სავარძელზე, შემოახვია ზეწა-  
რი, ნიკაპს ქვეშ ტაშტი მიუდგა, წვერი  
გაუსაპნა და მოჰყვა თავისებურად:

— საკუირველი ამბავია, საკუირველი! ამ-  
ბობდა ის და ერთსა და იმავე დროს დალა-  
ქობასაც შერებოდა და გაზეთობასაც: საკ-  
უირველი ამბავია-მეთქი! მყლელობა, გა-  
ძარცვა და მოკლული გვამის დამარხვა—  
ყოველივე ეს ერთ ლაშეს მოხდა.

— რაო, რას ამბობ? დაუბლვირა მსა-  
ჯულმა.

— რას ვამბობ რომელია, მიუგო და-  
ლაქმა და თან საპონი მიუს-მოუსვა ტუ-  
ჩებზე; იმას ვამბობ, რომ პერეგილ გალი-  
ეტამ გაძარცვა და მოჰკლა ზანგი, რომე-  
ლიც დღეს გათენებისას დაჭმარხა კიდეც.

— მერე შენ საიდამ იცი, დაეკითხა მსა-  
ჯული.

— მოითმინეთ, ბატონი, და ყველაფერს  
გაგაგებინებთ, უპასუხა ენაჭარტალა დალა-  
ქმა და თან ნიკაპზე სამართებელი გაუსვა.

ამას შემდეგ მოჰკლა და ყველაფერი უამ-  
ბო, რაც ენახა და რაც არ ენახა. ამავე  
დროს ჰპარსავდა კიდეც, საპონსაც უსვამდა  
და ნიკაპსაც უმშრალებდა. დასასრულ კი-  
დევ განუმეორა: აი ასე მოხდა ეს ამბავი,  
ასე მოხდა, რომ კაცი ერთს ლამეს მოჰკ-  
ლეს, გაძარცვეს და დამარხეს კიდეც. უფ-  
რო საკვირველი ამბავი განა შესაძლებე-  
ლია სადმე?!

აქ მოკლედ ისიც უნდა მოვიხსენიოთ,

თუ რა კაცი ბრძნდებოდა ეს მსაჯული. ეს  
მთელს გრენალაში თავის შურითა, კრი-  
სანგობითა და მექრთამეობით განთქმული  
იყო. მართალია, ზოგჯერ მართლ-მსაჯუ-  
ლების გზას არ აუქცევდა, მაგრამ რა თავ-  
ში იხლიდით იმისთანა მართლ-მსაჯულე-  
ბას, რომელიც ოქროთი უნდა გეყიდნათ.  
გაიგონა თუ არა მსუნაგმა მსაჯულმა ეს  
აშშავი, მაშინვე იმის ანგარიშში შევიდა,  
თუ რამდენის აწაპენა შეიძლება ამ საქმი-  
საგანაო. ხუმრობა ხომ არ არისო, ჰუკ-  
რობდა: კაცი მოჰკლეს და გაძარცვეს, აქ  
უსათუოდ წაუარებელი სიმდიდრე იქნება  
გატაცებული და ამ აუარებელ სიმდიდრი-  
დამ ცოტა რამ მეც არ მერგოს, ცოდვა  
იქნებაო. რაცი ვერცხლის მოყვარე მსა-  
ჯულმა ეს ასე გადასწყვიტა, შემდეგ იმის  
ფიქრს მიეცა, როგორ ჩავიგდო დაძნაშავე  
ხელში, რომ მეც გავმდიდრდე და სარჩო-  
ბელასაც საქმე უშორენოეო. ამ გვარად  
საქმის გარიგება, მისის აზრით, მართლ-  
მსაჯულების უმაღლესი დანიშნულება იყო.

გარდაწყვეტილების სისრულეში მოსაყვა-  
ნად ერთს ყველაზე გაქნილსა და გაიძვე-  
რა პოლიციის მოხელეს დაუბახა, რომელ-  
მაც კარგ მეძებარ ძალლსავით იცოდა ყვე-  
ლაფრის სუნის აღება და რომელსაც  
არათერი მიუგნებელი და შეუტყობელი არ  
დაურჩებოდა: ყველა ამ სიკეთესთან ის  
ლირსებაცა ჰქონდა, რომ თავის ხელ-ზევი-  
თების ერთგული და ყურმოჭრილი ყმა  
იყო. აი ამ მეძებარს დაავალა მსაჯულმა  
დამნაშავის შეპყრობა, რაიცა ისე ჩქარა  
და დაუბრკოლებლად აღასრულა პოლი-  
ციელმა, რომ უბედური პერეგილი, ვიდ-  
რე შინ დაბრუნდებოდა, მართლ-მსაჯუ-  
ლების წინ იყო გამოჭიმული, ვითარცა სა-  
შინელის დანაშაულობის ჩამდენი. მსაჯულ-  
მა თავისი საშიშარი სახე და სასტიკად გა-  
მომეტყველი თვალები პერეგილს დაშტე-  
რა და ისე საშინლად შეუბლვირა, რომ  
სიბრალოს შიშისაგან ააცაცახა და მუქ-  
ლები მოეკვეცა.

— გამიგონე, ავაზაკო! დათარეა შენის

დანაშაულობისა, რისთვისაც შენ ჩამორ-  
ჩობის ლირსი ხარ, ყოვლად შეუძლებელია,  
მაგრამ მაინც მოწყალე და კაცი მოყვარე  
ვარ და ყოველსავე შენს თავის გამართ-  
ლებას, რის გამოც ეგ დანაშაულობა ჩა-  
გიდენია, გულ-დამშეიდებით მოგისმენ. ვი-  
ცი, რომ ვინც შენ მოჰყალი, იყო ზანგი,  
მაჰმადის სარწმუნოებისა და მაშასადამე ღი-  
ლი მტერი და მოძულე ჩვენის წმიდა სჯუ-  
ლისა. უეჭველია, შენ მოჰყალ ის სარ-  
წმუნოების მეტის მეტად სიყვარულისა და  
ერთგულების გამო და ამიტომაც მე, რამ-  
დენადაც შემეძლება, ვეცდები სასჯელი  
შეგიმსუბუქო. მომეცი ის სიმღიდრე, რაც  
იმისათვის წაგირთმევია და შენი დანაშა-  
ულობაც იმ ზანგთან ერთად დაიმარხება.

საბრალო პერევილმა თავის სიმართლის  
დასამტკიცებლად მოიწვია ყველა წმინდანი,  
მაგრამ, საუბედუროდ, არც ერთი მათგანი  
არ გამოცხადდა, ალბად იმიტომ, რომ  
ურწმუნო მსაჯულის დარწმუნება არც იმათ  
შეეძლოთ. მაინც მთელი ამზაფი ზანგის სიკვ-

დილისა თავიდგან ბოლომდე ისე უაშბო,  
როგორც იყო, მაგრამ ამაռდ.

—როგორ ჰქედავ იმის თქმას, რომ იმ  
ზანგს არც ოქრო ჰქონდა, არც ვერცხლი,  
არც ძვირფასი რამ სამკაული, რისოვისაც  
ის შენ მოჰკალი!

—გეფიცებით შემოქმედს, რომ არაფე-  
რი იმას არ ებადა, გარდა ამ პატარა ყუ-  
თისა, რომელიც გარჯისა და შრომის ფა-  
სად მიანდერდა.

—ყუთი ხომ გიანდერდა, ყუთი! შესძახა  
მსაჯულმა და თვალებიდგან სიხარულის  
ნაპერწკლეპი გადმოაფრქვია იმ ფიქრით,  
რომ ყუთში უსათუოდ ძვირფასი რამე იქ-  
ნება შენახულიო.—მერე რა უყავი ის ყუთი?

—თუ-კი იმ ყუთს ინებებთ, ეხლავე გა-  
ახლებთ. სახედარს კალათა აქვს აკიდებუ-  
ლი და იმ კალათაში მაქვს ის ყუთიც შე-  
ნახული...

არც-კი დაესრულებინა პერეგრილის ამის თქმა  
რომპოლიციელი კარში გავარდა და თვალის  
დახამხამების უმაღლ მოაჩბენინა სასურველი

ყუთი. მსაჯულს მოუთმენლობის გამო სული მისდიოდა. აკანკალებულის ხელით ახადა ყუთს თავიდა წარმოიდგინეთ იმისი განცემით რებულება, რომ სიმდიდრის მავივრად ყუთში ერთი არაბულად ნაწერი პერვამენტის ნაფლეთი და ერთიც თაფლის სანთლის ნამწვი იყო. როცა ბრალდებული ლარიბლატაკია და არაფრის აწაპენა შესაძლებელი არ არის, მაშინ მართლ-მსაჯულება ყოველგან, განსაკუთრებით-კი ისპანიაში, მიუდგომელი ხდება. შორს-გამჭვრეტელი და ქრთამის აღებაში გამოცდილ-გამობრძმედებული მსაჯული დარწმუნდა, რომ ამ საქმეს, რაც უნდა ვატრიალო და ვაკოდვილო, ვერაფერს გამოვრჩებიო, და გულ-დამშვიდებით მოისმანა საკოდავის პერეგილის ჩერება, რაიცა, სხვათა შორის, იმისმა ცოლმაც დამტკიცა...

დიახ, მსაჯულმა, რაკი დამნაშავისაგან აღარაფერი იყო ასაღები, სრულიად ირწმუნა პერეგილის სიმართლე, განათავისუფ-

ლა საბრალო და ყუთიც უკან დაუბრუნა.

— ასეთის სისულეების ჩადენისათვის, როგორც არის კაცო-მოყვარეობა, მეტი სასყიდლის ღირსი მაინც არ ყოფილხარო, უთხრა ბოლოს.

თუმცა ამ პატივუემულმა მსაჯულმა პერეგილისაგან ოქრო და ვერცხლი ვერ მიიღო, მაგრამ არ იფიქროთ, რომ სრულიად წელ-ცალიერი დარჩენილიყოს, მოცდენისა და შრომის ფასად ვირი გამოართვა პერეგილს და ძალიან ცოტა სასყიდელიაო, ამბობდა. ცოტაო?! ერთი უბედურის პერეგილისთვისაც გეკითხათ, რომელსაც ამას შემდევ წყალის ზიდვა ზურგით შოუბდა! ამ გვარმა აუტანელმა ჯაფამ, ასეთმა ოფლის ღვრამ პერეგილი წელში გასტეხა და უწინდელი სიმხიარულე სრულიად დაეკარგა.

— მსაჯული-კი არა — ძალიაო, ჰეთიჭრობდა (თქმას მაშ როგორ გაბედავდა!) საბრალო პერეგილი: ცხოვრების სახსარი

მომისპო და საუკეთესო მევობარი და თანაშემწერ წამართვა.

— აჲ, ჩემო ძეირფასო ყუჩა-დიდავ! წამოიძახებდა ის, როცა დალლილ-დაქან ცული კოკას ძირს ჩამოსდგამდა და შუბლიდგან თფლს მოიწმენდდა: დარწმუნებული ვარ, რომ კვლავ გახსოვს შენი უწინდელი პატრიონი და პნანობ, რომ კოკები აღარ გვიდია. საბრალო ცხოველო! შან-კი არა, მე ვარ საბრალო და უბედური...

ამ ტანჯვას და ვაებას პერევილისას ისიც ემატებოდა, რომ ცოლი ყოვლთვის გაცეცხლებულ-გაკაპასებული დაუხედებოდა და ათას ნაირის საყვედურითა და სამდურავით თავს აბეზრებდა.

— ხომ გახსოვს, რაც გითხარი, როგორც გავაფრთხილე! ვიცოდი, რომ მოჰყვებოდა შენგან ჩადენილს სისულელეს. ერთის სიტყვით, ისე ჭნას არ დასძრავდა, რომ თავისი ჭკუა და გამჭრა-ახობა არ მოევონებინა. როცა ბალლებს

პური მოშივდებოდათ, ან პერანგი დაუცველებოდათ, ის დაცინვით იტყოდა:

— მამასთან წადით, იმას სთხოვეთ! რად გავიწყდებათ, რომ ის ალპამბრის მეფის შემკვიდრეა. გააღებს თავის შესანიშნავს და ძეირფასს ყუთს და კიდეც გაჭმევსთ, კი-დეც ჩაგაცმევთ.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, კეთილის საქმისათვის ამ უკეთურს ქვაყანაზე არავინ ისე სასტიკად არ დასჯილა, როგორც სა-ცოდავი პერეგილი. თუმცა ყველა ამის გა-მო გული უწუხდა, და სული ეხუთებოდა, მაგრამ რა გზა იყო, რომ არ გაეძლო და არ მოეთმინა.

ერთ საღამოს მთელის დღის მუშაობი-საგან არაქათ-გამოლეულსა და ლონე მიხ-დილს პერეგილს მეტის-მეტად მოაბეჭრა თვეები ცოლმა ყბედობითა და უწმაწურის ლაპარაკით, ასე რომ მოთმინების ფიალა აევსო. \*პასუხის გაცემას, რასაკვირველია, ვდრ გაუბედავდა, მხოლოდ გაბრაზებული თვალები ჰანგის მიერ ნაანდერძევს ყუთს

მიაშტერა, ნახევრად ახდილი თავი ყუთი-  
სა თითქო იღიმებაო, დასკინოდა იმათ,  
რომ ტყუილ-უბრალოდ დამივიწყეთო. და-  
სასრულ გაცეცხლებული პერეგილი წა-  
მოდგა, აიღო ყუთი, რაც ძალი და ლონე  
ჰქონდა, იატაკზედ დაანარცხა და თან  
ესეც დაუმზა:

— წყეულ იყოს ის დღე, რა დღესაც  
შენ გნახე და შენს მაწანწალა პატრონს  
ჩემს სახლში ბინა მივეციო!..

იატაკზე დავარდნის დროს ყუთი გაიღო  
და პერგამენტი გამოვარდა. პერეგილმა  
ერთ ხანს უცქირა გულდაწყვეტით, შემ-  
დეგ დამშვიდლა და იფიქრა: ეინ იცის, რა  
სწერია ამაში! ზანგი სულელი ხომ არ იყო,  
რომ ასე უკლიდა და ინახავდა?!

აიღო პერგამენტის ნაფლეთი და უბე-  
ში ჩაიდო.

მეორე დღეს პერეგილი ჩვეულებისამებრ  
დილიდგანვე შეუდგა თავისს საქმეს. როცა  
ქუჩა-ქუჩა დაღიოდა ლა წყალსა ყიდდა,  
ერთს ზანგთან შეოსურა, რომელიც სხვა-

და-სხვა ძვირფას სამკაულსა და კეთილ სუ-  
რნელოვან ზეთსა ჰყალბა. აი ამ ზანგს აჩ-  
ვენა პერეგილმა თავისი საუნჯე, ნააწდერ-  
ძევ ყუთში ნაპოვნი ქალალდის ნაფლეთი.  
ზანგმა დიდის დაკუირვებითა და განცემით  
ჩემი წაიკითხა ეს ხელთ ნაწერი. შემდეგ  
მედიდურად და ამაყად ჩამოისუა წვერზე  
ხელი, ჩახველა და ტუჩებზე ღიმილი მო-  
უვიდა. ეს სასწაულთ ჩომქედი ქალალდია,  
რის შემწეობითაც ჯადო ქმნილისა და მო-  
თილისმებულის სიმდიდრის პოვნა შეიძლება.  
ამ ხელთ-ნაწერს იხეთი ძალა აქვს, რის  
წინააღმდეგ არავითარ მაგარს კედელს,  
არავითარს ბოჭლომსა და კლიტეს გამაგ-  
რება არ შეუძლია.

— მერე ჩემთვის რა გამოსადევია ეს? —  
სთქვა პატიოსანმა პერეგილმა: მე ხომ გუ-  
ლობისანი არა ვარ, რომ ვიცოდე, სად რა  
სიმდიდრე და განძია დამარხული.

სთქვა თუ არა ეს, გაიდგა კოკა მხარზე  
და გასწია, ხოლო ქალალდის ნაფლეთი  
ზანგს დარჩა.

იმ სალაშოს ალჰამბრის წყაროსთან ზევრი  
ნაცნობი და მეგობარი ნახა, რომელიც  
ჩვეულებრივ საჭორიკანოდ და სალაშლან-  
დაროდ შეყრილიყვნენ.

როცა ჭორი შემოაკლდებოდათ ლაზლანდარობით კიდევ ყბები მოელალე-  
ბოდათ, ქველს ამბებს დაუბრუნდებოდნენ,  
ზღაპარსა და ლეგენდას უამბობდნენ ერთ-  
მანეთს. ხშირად შევნატროდნენ იმ დროს  
როდესაც ისეთი დიდებული ამბები ხდებო-  
და, როგორიც ზღაპარში იყო აწერილი.  
ეინაიგან ყველა იმათგანი ლარიბ-ლატაკი  
იყო, რასაკუირველია, რომ მუდამ სიმდი-  
დრის გამო ოცნებობდნენ. სხვათა შორის  
ისიც სწამდათ და სჯეროდათ, რომ ალჰა-  
მბრიში, შვიდ სართულიან კოშკს ქვეშ  
არაბთა მიერ დატოვებული ჯადო-ნაქნარა  
განძა დამარხულიო.

ამ ამბის გაფონება საკმაო იყო, რომ  
პერევილი დაეფიქრებინა და აი როცა და-  
ბრუნდა სახლში, გზაზე სულ იმის გამო  
ოცნებობდა, თუ როგორ დავეპატრონო

კოშკს ქვეშ დამარხულ სიმღიღრესაო. ამ შემთხვევაში თუ რასმეს მიშეელას, ისევ ის ზანგის მიერ ნაანდერძევი სასწაულთ-მომქმედი ქალალდი მიშველისო.

• ამ ფიქრებით ისე გატაცებული და თავ-დავიწყებული იყო, რომ კოკა კინალამ გა-დმოუვარდა მხრებილამ.

იმ ღამეს საბრალო პერევილის თვალებს ძილი სრულიად არ მიჰყარებია. გამდიღრების ფიქრმა და სურვილმა ისე შეიპყრო მისი გრძნობა-გონება, რომ ძილი დაუფრთხა და მოსვენება დაეკარგა. ვარიყრაჭზე წამოდგა და ზანგის დუქნისაკენ გაეშურა. აქ მან თავის მეგობარს ყოველივე უამბო, რაც მის გონებაში ტრიალებდა და რის გამოც მოსვენება არა ჰქონდა.

— შენ ხომ არაბული იცი. მოდი წავი-დეთ კოშკში და გამოვსცადოთ ამ სასწაულთ-მომქმედის ქალალდის ძალა. თუ რომ ამიდგან არაფერი სარგებლობა გა-მოდგება, სულ ერთია, ხარჯი ხომ არა-ფერი მოგვინდება, ხოლო თუ გაგვაბედ-

ნიერებს ღმერთი და ქალალდი თავის სასწაულთ-მომქმედს ძალას გამოიჩენს, ნაპოვნი სიმდიდრე შმურად გავიყოთ: ნახევარი შენ გქონდეს და ნახევარი მე.

— მოითმინეთ მეგობარო! — უთხრა მაჰმადიანმა. მარტო ეს ქალალდი არა კმარა, რომ სასწაული ჩავიდინოთ და ჯადო ნაქნარი განძი ვიპოვოთ. ამ ქალალდთან საჭიროა განგებ ამ საქმისათვის გაკეთებული სანთელი, რომელიც შუა ღამისას უნდა აანთოთ და იმის სინათლეზე ეს ქალალდი წაიკითხოთ. უიმსანთლოდ ეს ქალალდი ყოვლად გამოუსადევია, ხოლო სანთლის გაკეთებისა მე არაფერი ვიცი.

— მაგის დარღი ნუ გაქვს — უთხრა პერეგილმა: შენ რომ სანთელს ამბობ, ისიც მე მაქვს. დამიცადე აქ დაგინდა, ახლავე მოგიტანო სანთელი.

ამ სიტყვებზე პერეგილი გაიქცა შინ და თვალის დახამხამებაზე ისევ ზანგთან დაიბადა. ამოილო ჯიბიდამ სანთლის ნამწვი,

რომელიც ყუთში იპოვა და მიაწოდა ზანგს.

ზანგმა სანთელი გასინჯა და სიხარულით  
წამოიძახა:

— ახლა ჩვენ აღარა გვიჭირს-რა! ვიდრე  
ეს სანთელი მოკიდებული იქნება, თვით  
უმაგრესი კედლები გაირღვევა და არავით-  
არი განძი უშოვნელ-უპოვნელი არ მოგ-  
ვირჩება. მაგრამ უბედურება იქნება მაშინ,  
თუ სანთელი გაჰქრა, ვიდრე ჩვენ კოშკი-  
დამ გამოვიდოდეთ — საუკუნოდ დალუბული  
დავრჩებით, რადგან სანთლის გაქრობაზე  
გარღვეული კედელი ისევ შეერთდება და  
ჩვენც შიგნით გამოვიმწყვდევით. მაგრავ  
რაც უნდა დაგვემართოს, შესა ლაშისას  
მაინც წავიდეთ კოშკში და ბედი ვცადოთ.

დანიშნულს. დროს, როცა ბურთი და  
მოედანი ამ ქვეყნად ბუსა და ლამურებს  
დარჩენოდათ და სხვას ყველაფერს ეჭინა,  
პერეგილი და ზანგი წყნარის ნაბიჯითა და  
გულის კანკალით კოშკისაკენ მიეშურებო-  
დნენ. კოშკი ისეთს უხერხულს ალაგას  
იყო აშენებული, რომ არა თუ ლაშით,

დლითაც ძნელი იყო იქ მისელა, მაგრამ  
გამდიდრების სურვილმა ყოველივე სიძნელე  
და გაჭირვება დასტლია, ყოველ გვარს ში-  
შსა და ხიფათს გაუტლო. როგორც იყო,  
მიაღწიეს კოშკში შესავალ კარებთან, საი-  
დამაც ერთს კიბეს ზემოდ აჰყავდა კაცი და  
მეორეს ქვემოდ. ესენი, რასაკეირველია,  
უკანასკნელს ჩაჰუნდნენ. ბევრ ხანს იარეს და,  
აი, ბოლოს მიაღწიეს კიდეც იქ რომლის  
იქითაც, როგორც ამბობდნენ, სამი სარ-  
თული კიდევ იყო, მაგრამ მოჯადოების  
გამო იმას იქით წასელა არ შეიძლებოდა.  
აი, აქ იყო საჭირო სახწაულთ-მომქმედი  
ძალა სანთლისა და კიდეც აანთეს. პერე-  
გილმა ანთებული სანთელი დაიჭირა ხელში  
და ზანგი ქალალდის კითხვას შეუდგა. არც-  
კი დაესრულებინა წაკითხვა, რომ ქვეშკნე-  
თში რალაც გრგვინვა და გრიალი გაისმა.  
დედამიწა მიინძრ-მოინძრა, კოშკი შეტოკ-  
და და მათ წინ კედელი გაირღვა, რომელიც  
არაბულის წარწერებით იყო აჭრელებული.  
ამ აშშავზე სიმდიდრის მძებნელნი, ცოტა

არ იყოს, დაფრთხნენ, ხოლო როცა გონ-  
ზე მოვიდნენ, ნახეს, რომ ეს ვებერთელა  
დარბაზი სავსე იყო აუარებელის სიმდიდ-  
რითა და ოქრო-ვერცხლით. ერთს ალაგს  
ერთი უზარმაშარი ზანდუკი იდგა, რომლის  
თავსა და ბოლოს მოჯადოებული ზანგე-  
ბი ისხდნენ გაუნძრეველად. ზანდუკის მახ-  
ლობლად ოქრო-ვერცხლითა და თვალ-  
მარგალიტით სავსე ქილები იდგა. დახანება  
რაღა საჭირო იყო, გაიკრეს ხელი და,  
რაც-კი ეზიდებოდათ, იმდენი სიმდიდრე  
აალაგეს და უკან გამოეშურნენ. გამოსუ-  
დნენ ვარღვეულს კედელს და გააქრეს სანთე-  
ლი. დედამიწა ხელ-ახლა შეინძრა, ხელ-  
ახლა მოისმა ძლიერი გრიალი და გრგვინვა  
და კედელი ისევ შეერთდა.

შიშისაგან დამუნჯებულნი და ზარდა-  
ცემულნი ცახცახითა და კანკალით გამოე-  
შურნენ კარში და მხოლოდ მაშინ გაპე-  
დეს უკან მიხედვა, როცა სრულიად გამო-  
ჟიდნენ და იმათმა შიშ-ნაჭამშა თვალებმა  
ვარსკვლავებით მოჭედილ-მოკაშკაშებული

ცა დაინახა. მაშინ-კი დამშვიდნენ, სული მოიბრუნეს, დასხდნენ იქავ მწვანეზედ და ნადავლი შეუზედ გაიყვეს; ამასთანავე ისიც გადასწყვიტეს, რომ მარტო ამას ჭრ დასჯერდებოდნენ და მეორე ლამეს სრულიად გამოელაგებიათ, რაც რამ იქ სიმდიდრე მოიპოვებოდა. რომ ერთმანეთისათვის არ ელალატნათ, თილისმაც გაანაწილეს. ერთმა სანთლის ნამწვი წაიღო და მეორემ ქალალდი. შემდეგ ამისა მხიარულის გულით და გატენილის ჯიბეებით დაბრუნდნენ გრენალაში.

გზა-გზა ფრთხილი და ჰეკუიანი ზანგი პერეგილს სულ დარიგებას უკითხავდა.

— მეგობარო! ყოველივე ეს, რაც მოვიმოქმედეთ, საიდუმლოდ უნდა შეინახო, თორემ თუ ერთი სიტყვა წამოგცდენია, უეჭველია, მსაჯულის ყურებამდე მიაღწევს და საუკუნოდ დავიღუპებით. გაფრთხილდი და არაესთან არაფერი გაამხილო, ჯერ კიდევ ბევრი საქმე გვაქვს. ჯერ ის განძი სრულიად უნდა გამოვიტანოთ და სადმე

ხეირიანს ალაგას უნდა შევინახოთ, რომ  
გაჭირვების ღროს შეგვეძლოს იმისი გამო-  
ყენება.

— მართალია, რასაც ამტობ და ასეც  
უნდა მოვიქცეთ, — უპასუხა პერეგილმა.

— მე განა არ ვიცი, — განაგრძო ზანგმა,  
— რომ შენ მშვიდი და კეთილი კაცი ხარ  
და ნამუსის შენახვაც არ გაგიძნელდება,  
მაგრამ შენ ხომ ცოლი გყავს...

— ის ვერაფერს გაიგებს, — მიუკო მტკი-  
ცედ პერეგილმა.

— მაშ კარგი! იმედი მაქვს, რომ სიტყ-  
ვას არ გადახვალ და საიდუმლოს არ გას-  
ტეხ.

მართლაც ამაზე უფრო გულ-წრფელი  
და პატიოსანი სიტყვა აღარ შეიძლებოდა.  
მაგრამ უპედურება ის არის, რომ სანთ-  
ლითაც ვერ მოსძებნით ისეთს ხასიათ-მა-  
გარს მამაკაცს, რომელსაც შეეძლოს თავის  
ცოლთან საიდუმლო არ გაამხოლოს. ასეთი  
თუკი არავინ არის, რასაკვირველია, ვერც  
პერეგილი იქნებოდა, რომელიც უზომოდ

მოსიყვარულე და თან უზომოდ მორჩილიც  
იყო თავის ცოლისა. დაბრუნდა შინ და ნახა,  
რომიმის, მეუღლე ძალიან ცუდს გუნებაზეა.

— მადლობა ლმერთს, რომ დაბრუნდი  
როგორც იქნა — მიაჩახა ცოლმა, დაინახა თუ  
არა ქმარი. განა შესაძლებელია, ასეთს  
დროზე კაცი შინ არ უყოს! მიკვირს, რომ  
ერთს ზანგს როგორ ვერ წააწყდი სადმე  
და როგორ ვერ მოიყვანე!

ამ სიტყვებზე დაიწყო ტირილი და თავში  
ხელის ცემა.

— რა უბეღურს ვარსკვლავზე დაბადებ უ  
ლი ქალი ვარ! — ჰყვიროდა ის: რა უნ ჩ-  
მეწამლოს და რა უნდა მეშველოს, როცა  
სახლი სრულიად დაგვირბიეს და დაგვიწი-  
ოკეს პოლიციელებმა. ჩემი ქმარი-კი,  
ნაცვლად იმისა, რომ იშჩომოს, მშიერ-  
მწყურვალე და შაშველ-ტიტველი არ  
მოგვკლას, მთელის დღისა და ღამის გან-  
მავლობაში ვიღაც ურწმუნო და ჩვენის  
სჯულის მტერ ზანგებთან დაწანუალობს.  
ოჰ, საბრალო შეილებო, რომ იცოდეთ,

რა მოგველის! ჩქარა იძულებული შევიქნებით, ქუჩა-ქუჩა ვიაროთ და გამვლელ-გამომვლელს მოწყალება ვსთხოვოთ.

პერეგილიც არა ნაკლებ შეწუხებელი და აღშფოთებული იყო. ცოლის სიტყვების სიმწვავემ გულის საძირკვლემდე უწია და თითონაც ტირილი მოართო. დასასრულ, ჩაიყო ჯიბეში ხელი, ამოილო ოქროები და მისთავაზა ცოლს, რომელიც ამ ამბავმა, ასე მოულოდნელად ოქროების დანახვამ სრულიად გააშეშა და დავთარი დაუკარგა. ეიდრე ცოლი გამოერკვეოდა და გონებაზე მოვიდოდა, პერეგილმა ოქროს ძეწკვიც გადაჰკიდა კისერზე და ამან ხომ უარესად გადარია ეს უიმისოდაც ახირებული დედაკაცი.

— ლეთის მშობელო ქალწულო! შეჰყეი-რა მან; შენ დაგვიცევი და დაგვიფარე ყოველისაც ხიფათისა და ბოროტისაგან! პერეგილ! არ იტყეი რა გიქნია? ნუ თუ გაძარცვე ვინმე, ან მოჰკალი?

ეს ეჭვიიმდენად გაუძლიერდა პერეგილის

ცოლს, რომ მან უკვე წარმოიდგინა საპ-  
ყრობილები დატყვევებული და შემდეგ  
სახრჩობელაზე ჩამოკიდული საბრალო  
ჰერევილი. ასეთის საფრთხის წარმოდგენამ  
თავ-ზარი დასცა და გული წაუკიდა.

ამ შემთხვევაში რაღა უნდა ექმნა უბე-  
დურს ჰერევილს? ცოლის მწვავის ფიქრები-  
სა და ეჭვის გასაქარწყლებლად და დასამ-  
შვიდებლად, მეტი რა გზა იყო, რომ  
თავიდამ ბოლომდე არ მოჰყოლოდა და  
დაწვრილებით არ ეთქვა, თუ რა ბედიც  
ეწვია. ასეც მოიქცა. ყველაფერი უამბო  
ცოლს და თან ფიცი ჩამოართვა, რომ ამის  
შესახებ არავისთან კრინტიც არ დასძრაო.

— ახლა რაღას იტყვი ზანგის სამკეიდ-  
როზე? კიდევ გაწყრები და გაჯავრდები,  
რომ უბედურს უბინაო ზანგს ბინა მივეცი?  
განა არ ნანობ და არა გრცხვენია შენის  
სიტყვებისა, რომ ამ კაც-მოყვარეობის  
გამო ათასჯერ ცეცხლის თვალში გამატა-  
რე?

იმ ღამეს ჰერევილს თავის გაფხვევილს

წასცდენოდა. ერთხელ ამაყად წამოისროლა, რომ თუმცა ძველს ტანისამოსს ვატარებ, მაგრამ ახალი ტანისამოსი, რომელიც ძვირფასის თვლებით უნდა იქმნას გაწყობილი, უკვე დაკვეთილი მაქვსო. მეორეჯელისიც წამოიძახა, რომ მეთულუხოობამ ჩემს ქმარს თავი მოაბეჭრა და ჩქარა უნდა დააგდოს ეს ხელობა, რადგანაც იმის ჯან-მრთელობისათვის მეტის მეტად მავნებელიაო. მესამედ აღარც ის დაუფარავს, რომ ამ ზაფხულზე ქალაქში დარჩენა აღარ შეგვიძლია და საღმე აგარაკად უნდა წავიდეთ, თორემ ქალაქის გაფუჭებული ჰაერი შეილებს ამოგვიწყვეტსო. ჩვენ რითა ვართ სხვებზე ნაკლები. ზაფხულში ქალაქს ყოველი რიგიანი კაცი თავს ანებებსო,

ამ ამბავმა მეზობლებში დიდი ჩურჩული და ლაპარაკი ასტეხა; ჰელიკობდნენ, რომ ეს დედაკაცი უსათუოდ ჭკუაზე შესცდაო. ორნი თუ ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ, ელაპარაკებოდნენ უსათუოდ პერეგილისა და იმის ცოლის შესახებ. დიდი ჭორიკა-

ნაობა და დიდი მითქმა-მოთქმა ასტყუა.

სახლს გარედ პერეგილის ცოლი, რამ-დენადაც შეეძლო, თუმცა თავს იჭერდა, მაგრამ სამაგიეროდ შინ სრულ თავისუფლებას ეძლეოდა. გაიკეთებდა მარგალიტით მორთულ საყელოს, ჩამოიცვამდა ძვირფასს სამაჯურს და მედიდურად დადიოდა ოთახში. ხან-და-ხან ვერ მოითმენდა და სარკეშიაც ჩაიხედავდა, როგორ მიხდება ეს მდიდრული მოკაზმვაო.

ბოლოს დიაცმა მაინც დიაცური სულ-სწრაფობა გამოიჩინა, თავი ვეღარ შეიკავა და ფანჯარასთან მივიდა, გამვლელთა და გამომვლელთ თავი მოვაწონოო.

საუბედუროდ, ამ დროს ცნობის-მოყვარე დალაქი პედრილი თავის დუქანში უსაქმოდ იჯდა და თვალებს აქა-იქ აცეცებდა, აბა რა დავინახო ისეთი, რომ ერთი ახალი ამბავი გამოვაცხოო. რასაკვირველია, იმის მზვერავს თვალებს ძვირფასის სამკაულებით მორთული მეთულუხის ცოლი არ გამოეპარა. ეს იყო და ეს. პედრილმა

მსაჯულისაკენ მოჰქურტდა. ხოლო რად  
შოუნდა ასე უეცრად ტა მოულოდნელად  
მსაჯულის ნახვა, ეს ადვილი მისახვედრია.  
რა უამბო ენა-ჭარტალა პედრილმა მსაჯულს  
— ესეც ყველასათვის ცხადი უნდა იყოს,  
რადგანაც მსაჯულმა დაუყონებლივ განკა-  
რგულებამოახდინა და ჩვენგან უკვე ნაცნობი  
პოლიციელი საბრალო პერევილს გამოუ-  
ყენა. პოლიციელმა მსაჯულის მინდობილება  
ისე სწრაფად და საჩქაროდ აასრულა, რომ  
მზე, არც-კი ჩასულიყო და პერევილი-კი  
მსაჯულის წინაშე იყო გამოჭიმული.

— შე ავაზაკო, შენა! — დაულრიალა მსა-  
ჯულმა: აკი მარწმუნებდი, რომ იმ წარმართს  
გარდა ცარიელის ყუთისა არაფერი დაუტო-  
ვებიაო? ხოლო ეს რალას ნიშნავს, რომ  
შენი ცოლი დაგლეჯილ-დაფლეთილ ტა-  
ნისამოსზე სხვა-და- სხვა ძვირფას სამკაულსა  
და პატიოსან თელებსა იკეთებს? შე არამ-  
ზადავ, შენა! ახლავე მომიტანე, ყოველივე  
რაც იმ უბედურისათვის წაგირთმევია, ან

არა და მოემზადე ჩამოსახიობადა: შენ უსა-  
თუოდ საპრეზიდენტის: მსხვერპლიუნდა ვაძლე.

შეშინებული და დამფრთხალი პერეგილა  
ფეხებში ჩაუვარდა მსაჯულს და ყველაუერი  
დაწერილებით უაშო, თუ რა სასწაულის  
ძლიით იშოუნა სიმდიდრე. მსაჯული, და-  
ლაქი და პოლიციელი დისის გულ-მოდგრა-  
ნეობით ისმენდნენ ამ არაბულს ზღაპარს,  
მოჯადოებულის განძისას. პოლიციელი  
საჩქაროზე გაგზავნეს ზანგის მოსაყვარებელ;  
რომელიც პერეგილთან იყო, როცა მო-  
ჯადოებული განძი გახსნეს. უბედური მან-  
მადიანი პოლიციელის დანახვაზე შეშინდა  
და სასო-წარკვეთილებაში ჩაერდა. რაღა-  
ნაც თავის თავი მოსამართლეთა ბრჭყა-  
ლებში წარმოიდგინა. აგრეთვე დაინახა რომ  
პერეგილი თავ-ჩაქინდრული დადალონებუ-  
ლი იდგა მსაჯულის წინაშე, მიხედა რაში-  
აც იყო საქმე.

— აკი გაგაფრთხილე, შე უგუნურო,  
რომ ცოლთან არაფერი წამოვცდეს-მეთქი!  
— უთხრა პერეგილს, როცა გვერდით გაუარა

ზანგის ჩვენებაშ სრულიად დამტკიცა  
პერეგილის ნათქვამი, მაგრამ ურწმუნო  
მსაჯულმა ისეთი საშიშარი სახის მეტყვე-  
ლება მიიღო, თითქოს არაფერი სჯეროდა  
და დაეჭალა, რომ ახლავე გამოძიებას უნდა  
შევუდვე და თქვენ-კი საპყრობილები უნდა  
გიყრათ თავიო. \*

— მოითმინდეთ, ბატონო მსაჯულო! —  
უთხრა მაჰმადიანმა, რომელსაც თავის ჩვე-  
ულებრივი გაქნილობა და ვერაგობა და-  
უბრუნდა. ნუ გავუშვებთ შემთხვევას ხელი-  
დამ და კარებზე მომდგარს ბედს ნუ გავა-  
ბრუნებთ. ეს ამბავი ხომ ჩვენს მეტმა არა-  
ვინ იცის. აქ ერთობა და ამხანაგობაა  
საჭირო, ხოლო კოშკს ქვეშ განძი იმდენია.  
რომ ყველას თავზე საყრელად გვეყოფა,  
თუ მოგვცემთ სიტყვას, რომ ამხანაგობას  
გაგვიწევთ, მთელის განძის დასაკუთრება  
შეგვიძლია; წინააღმდევ შემთხვევაში, რო-  
გორც გენებოთ, ისე მოიქეცით, მხოლოდ  
მე მაინც იმის თქმას გავბედავ, რომ თქვენც  
ზარალში იქნებით და ჩვენც.

მსაჯულმა დალაქი და პოლიციელი გაიხმო განზე და დიდხანს ეთათბირა. პოლიციელი, როგორც ნათქვამი გვქონდა, მეტის-მეტად გაქნილი და გარჩვერა კაცი იყო, რომელმანც შემდეგი რჩევა მისცა მსაჯულს:

— ჯერ ხანად, რაც-კი შესაძლებელია, ყველაფერი შეჰქირდით, რომ განძს სრულად დაესატრონოთ, ხოლო თუ ისინი რასმეს გაბედავენ, მაშინ როგორც ურწმუნოსა და კუდიანებს, ცეცხლი და სახჩობელა გაახსენეთ და კრინტის დაძრას როგორ გაპბედავენ.

მსაჯულს, რასაკვირველია, ეს კეთილგონიერი რჩევა ძალიან მოეწონა და სახე სიხარულით გაუბრწყინდა. მიუბრუნდა ზანგსა და პერევილს და მოწყალედ უთხრა:

— საოცარი ამბავია, ეს ამბავი, მაგრამ მე მაინც არ ვიტყვი, რომ დაუჯერებელი იყოს. ქვეყანაზე ყველაფერი შესაძლებელია, ხოლო მე-კი მინდა, რომ რაც მიამბეთ, ჩემის თვალითა ენახო. აი ამაღამ წავიდეთ კოშკში, საღაც თქვენ თქვენს ოინს გაი-

მეორებთ, თუ მართლა განძი ენახეთ, ჩვენ  
როგორც რიგია, ძმურად გავიყოფთ და  
თუ მომატყუილეთ, მაშინ-კი ყოველსავე  
შებრალებას დავკარგავ და სასტიკად დაგსჯით

ზანგი და პერეგილი დიდის სიხარულით  
დაეთანხმნენ მსაჯულს ამაზე, რაღვანაც  
დარწმუნებულნი იყვნენ, რომ იმათი სიმა-  
რთლე ცხადად დამტკიცდებოდა.

შუალამისას მსაჯული, პოლიციელი და  
ჯაშუში დალაქი თავიდამ ფეხებამდე შეი-  
არალებულნი გამოვიდნენ კარში და გაემა-  
რთნენ კოშკისაკენ. იმათთან, რასაკვირვე-  
ლია, ზანგი და პერეგილიც იყვნენ, მაგრამ  
ესენი დატყვევებულსავით მიჰყვებოდნენ  
იმათ. მსაჯულმა პერეგილისაგან წანართმევი  
ვირიც თან წაიყვანა, რომ ნაპოვნი სიმ-  
დიდრე ადვილად წამოელო.

კოშკთან ისე მიეიღნენ, რომ არაეს არ  
შეუნიშნავს. ვირი იქვე ხეზე მიამბეს და  
ჩავიდნენ მეოთხე სართულამდის, რომლის  
იქითაც წასელა ალარ შეიძლებოდა.

იქ ზანგმა ამოიღო სანთლის ნამწვი წა-  
იკითხა შეჩერების ქალალდი და როგორც

პირველად, ისე ახლაც დედამიწის გულში გრევინვა და გრიალი მოისმა და კედელი გაირღვა. მსაჯული და იმისი მხლებელნი შიშისაგან გაქვავდნენ და ადგილიდგან ფეხის გადადგმას ეერც-კი ბედავდნენ. ხოლო ზანგი და პერეგილი ჩაეშვნენ ძირს დაორი ძვირფასისა და პატიოსანის ქვებით გატენილი ქადა აიყიდეს და უკან დაბრუნდნენ. ქიდა ისეთი მძიმე იყო, რომ თუმცა პერეგილი ტვირთის ზიდვაში გამოცდილ-გამობრძმედებული იყო, მანც უძნელდებოდა ამისი ზიდვა და იმის სიმძიმის ქვეშ იკეცებოდა. როგორც იყო მიაღწია ვირთან და რაკი შენიშნა, რომ ეს ტვირთი ვირისათვისაც საკმაო არისო, გაჩერდა და უკან დაბრუნდა აზრადაც აღარ მოსდიოდა.

ზანგიც ასე მოიქცა. აქ ჩვენ იმდენი სიმდიდრე გვაქვს, რამდენისაც წალეპა შეგვიძლიარა; სთქვა მან, და რომ შენიშნული არ ეიქნეთ და სხეა-და-სხეა გვარი ეჭვი არ დავბადოთ, სრულიად საკმაოა, რაცა გვაქვს და მეტის წალება ამ ხანად სისულელე იქნებაო.

სჩანს კიდევ ყოფილა იქ განძა? ჰკითხა  
მსაჯულმა.

— იქ ყველაზე უფრო უძვირფასესი განძი  
დარჩა. ერთი უზარმაზარი ზანდუკი სულ  
ერთიანად პატიოსანის თვალებითა და ოქ-  
რო-ერცხლითაა გატენილი.

— რაც უნდა გახდეს, ის ზანდუკი უნდა  
ამომიტანოთ — სთქვა ხარბმა და გაუმაძლარმა  
მსაჯულმა. — მე-კი, რაც უნდა გახდეს, იმის  
ამოსატანად აღარ გავტრუნდები — გარდაწყვ-  
ეტით შიუგო ზანგმა. ცოტა ოდნად ჭკუიანის  
კაცისათვის ისიც საკმარისია, რაცა გვაქვს.

— არც მე შემიძლია მეტის წამოლება —  
სთქვა პერეგილმა — არ მინდა, რომ უბედურს  
პირუტყვს ტვრთს ქვეშ სული ამოვართვა.

ამის გამგონე მსაჯულს ცეცხლი მოეკი-  
და, გაჯავრდა, გაცხარდა, ხან მუდარა იხ-  
მარა, ხან მუქარა, ხან დაყვავება და ხან  
ბრძანება. მაგრამ ყოველივე ამაო იყო.

— მიშეელეთ და ამომატანიეთ ის ზანდუ-  
კი — უთხრა მან ბოლოს პოლიციელსა და  
დალაქს — და რაც შიგ იქნება, გავიყოთ ამ-  
ხანაგურად.

თუმცა პოლიციელიც და დალაქიც ამ  
სიტყვაზე დაფრთხნენ და თავზარი და აეცათ,  
შაგრამ უარის თქმა მაინც ვერ მოახერხეს  
და მსაჯულთან ერთად ჩაეშვნენ ქვემოდ.

გასცდინ თუ არა გარღვეულს კედელს,  
ზანგმა სანთელი გააქრო და იმისთანა თქვენს  
მტერს, რა საჭმეც იმათ მოუვიდათ! მოისმა  
ერთი გრგვინვა და ვაი-ვაგლახი, კედელი  
ერთმანეთს შეუერთდა და სამივე იქ დაიმარ-  
ხა ცოცხლად.

ზანგი და პერეგილი ზემოდ გამოეშურ-  
ნენ და, როცა სამშეიდობოს ამოვიდნენ,  
მხოლოდ მაშინ დაეკითხა გულ-უბრყვილო  
პერეგილი თავის თანამეზაერს:

— ეს რა ავაზაკობა ჩავიდინეთ, რომ სა-  
მი კაცი ცოცხლად დავმარხეთ?

— დიდებულის ალლახის ნება ასე იყო,  
უპასუხა მშეიდად ზანგმა.

— მაშ არ დაებრუნდებით, რომ გავათა-  
ვისუფლოთ ის საბრალონი?

— აღარა — მიუგო ზანგმა და თან მედი-  
დურად წვერზე ხელი ჩამოისეა: ალლახი  
ამის ნებას არ გვაძლევს. ჩვენს ქითამში ისე

სწერია, რომ ისრნი საუკუნოდ იქ უნდა  
დარჩნენ მოჯალოებულნი, ვიდრე ამ ჯალოს  
სხვა სასწაულთ-მომქმედი ტალა არ გახსნის.  
ალლახის ბრძანებას ჩვენ ვერ სად წაუ-  
ვალთ, იყავნ ნება მისი!

ამ სიტყვებზე მოიქნია და სანთლის წაჭ-  
წვი რქვე ჯაგებში უკუაგდო.

მეტი რალა საქმე ჰქონდათ, შინისაკენ  
არ წამოსულიყვნენ. გამოიდენეს წინ განძით  
დატვირთული ვირი და გამოეშურნენ სახ-  
ლისაკენ. პერეგილი ველარ იყავებდა თაეს,  
რომ თაეის ყურდიდა მეგობარს არ მიაღ-  
რსებოდა, რომელსაც ისპაან ის მართლ-  
მსაჯულების ბრჭყალებში ჩაეარდნა ისე ექ-  
ნელებოდა, როგორც პერეგილს. პერეგი-  
ლი ისე გახარებული იყო ამ ამბით, რომ  
ძნელი იყო იმის თქმა, რა უფრო გაუხარ-  
და—სიმდიდრის შეძენა, თუ ამ ძველ მეგო-  
ბრის ხელ-ახლად ნახეა.

ბედნიერმა ამხანაგებმა ნაპოვნ-ნაშოვნი  
შუაზედ გაიყვეს, თუმცა—დაფარვა არ შე-  
იძლება,—ზანგი პატიოსანს თვალებს უფრო  
თაეისკენ აწყობდა და პერევილს სხვა-და-

სხვა ოქროს სამკაულებს აძლევდა, მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ გვარი გა-  
ყოფა პერეგილს ძლიერ მოსწონდა.

ამას შემდეგ ზანგიცა და პერეგილიც მეტის-მეტად ერიდებოდნენ მსაჯულთა და დალაქთა ნაცნობობას. ზანგი დაბრუნდა თა-  
ვის სამშობლო ქვეყანაში. რაც-კი ჰქონდა  
წაილო აფრიკას და ქალაქ ტაგანრევში და-  
ესახლა, ხოლო პერეგილ თავის ცოლ-შვა-  
ლითა და ვირით პორტუგალიას გაემგზავ-  
რა. იქ ცოლის შემწეობით, როგორც იყო,  
მიეჩინა ლირსეულად თავის დაჭრას, მდი-  
დოულ ტანისამოსით მორთეასა და სხვა-  
და-სხვა დიდკაცის შესაფერ მიხერა-მოხერასა  
და სიტყა-პასუხს. რასაკვირელია, ასეთს  
ზნე-ფერის ცვალებას პერეგილისას სახელისა  
და გვარის გამოცვლაც მოჰყეა. უბრალო  
სახელი პერეგილი დონ-პედრო-გილად შე-  
სცვალა.

იმისმა შეილებმაც ნეტარებასა და ბედ-  
ნიერებაში გაატარეს სიცოცხლე, თუმცა-კი  
მამასავით პატარა ტანისა და მრუდე ფე-  
ხებიანი დარჩენენ, ხოლო რაც შეეხბა,

ქნს ვილისას, ვერ აღწერს კალამი, თუ რა როგორ ირთვებოდა და იყაზმებოდა რა მედიდურად იპრანჭებოდა და იგრიხებოდა. აუარებელი სიმდიდრე ნებას აძლევდა, რომ ყოველ-გვარი მოდის შემომლები და კანონმდებელი ყოფილიყო. ამასთანავე იმის დაფარვაც არ შეგვიძლია, რომ მოდებთან, ერთად ჭორესაბც ბევრს ბადავდა და ავრცელებდა.

მსაჯულისა და იმის მხლებელთა შესახებ კრინტიც აღარ იძერებოდა. ისინი საუკუნოდ დამარხული დარჩნენ შვიდ-სართულიან კოშკს ქვეშ და ძალიან სარწმუნო და დასაჯერებელია, რომ ახლაც იქ იყვნენ. როცა ისპანიას ენა-ჭარტალა და ჭორიკანა დალაქი, გაქნილი და გაიძვერა პოლიციელი და მექრთამე მსაჯული შემოაკლდებიან შეიძლება მაშინ შეუდგნენ იმათ ძებნას, ხოლო თუ მართლა იმათი განთავისუფლება იმ დრომდე შეუძლებელია, რასკვირველია, იმათ დიდხანს მოუნდებათ ლოდინი—სულ ცოტა რომ ესთქვათ, უკანასკნელ განკითხვის დღემდე.

ଓଡ଼ିଆ ପ୍ରକାଶନ ପାତ୍ର